

გაზეთი „ბრუნა“ ღირს
თვიურად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახაბლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10-34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 250,000 მან.
4 „ 200,000 „
სამგზოფასი განცხადებისათვის
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

კვირას ივლისის 1, პარტიის მთავარ კლუბში მოწვეულია საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის ტფილისის საქალაქო კონფერენცია

დღის წესრიგი:
1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. პარტიული მუშაობა.
3. ტფილისის კომიტეტის ანგარიში.
4. მოხსენებანი ადგილებიდან.
5. მიმდინარე საკითხები.
6. არჩევნები ტფილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიისა.

დღევანდელს ირჩევს სარაიონო საზოგადო კრება.
ფრაქციები, ახალგაზრდათა კავშირი და სტუდენტთა ორგანიზაცია გზავნის თითო დელეგატს
სათათბირო ხმით.
კონფერენცია გაიხსნება დღის 11 საათზედ.

ტფილისის კომიტეტი.

რედაქციის გაკლივება.

ევროპის მასშტაბით რეაქცია მძვინვარებს. კაბინეტები უკიდურეს მემარჯვენეთა ხელშია. დემოკრატიული საფრანგეთი მონარქისტთა თავშესაფარსა და მათ თავისუფლად სათარეშო მოედანს წარმოადგენს. ესევე საფრანგეთი რურში განაგრძობს გერმანიის ქონების გატაცებას და გერმანელი მუშების ხოცვას. ინგლისის დიპლომატიურმა წრეებმა უკანასკნელად უშეცავდნენ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ულტიმატუმების წარდგენა და ერთი მუშა ფინანსიური არისტოკრატის ინტერესის დაკმაყოფილება როგორც საბჭოთა რესპუბლიკების, ისე თვით ინგლისის მცხოვრებთა უმრავლესობის ხარჯზედ. იტალიეთი ფაშისტური რეჟიმის უღელს განიცდის. ბულგარეთში დაეცა გლეხური მანტიით შემოსილი მთავრობა და უკიდურეს მემარჯვენეს ზედათ წილად გამარჯვება. ვანდერველდეს სამშობლო, ბელგია, კვლავ მხარში უდგას ევროპის ყაჩაღებს და უმცროს ძმობას უწევს მათ თავიანთ საგმირო მოღვაწეობაში.

ასეთ პოლიტიკურ მომენტში, შრომისა და კაპიტალს შორის გამწვავებულ ბრძოლაში და უკანასკნელის თავდასხმითი იერიშების განვითარების პროცესში, ხდება ევროპის „სოციალისტურ“ ძალთა კოორდინაცია. რევოლუციონური მეტყველებების და რეფორმისტული საქმიანობის ინტერნაციონალი, რომელსაც ბედმა არგუნა 2 ნახ. ინტერნაციონალი, ეპიტეტით არსებობა; უბრუნდება 2 ინტერნაციონალს რომელსაც უფრო დიდი ხნის სტაჟი აქვს კაპიტალიზმის საშხაბურში ყოფნისა.

ორი პოლიუსი, ერთმანეთს დაპირისპირებული უნდა აღმოცენებულიყო ბუნებრივად თანამედროვე პოლიტიკურ ძალთა კიდილში. საშუალო ხაზებზე, საშუალო ადგილის გამაგრება ობიექტურად შეუძლებელი შეიქნებოდა საწინააღმდეგო სამყაროთა ბრძოლის პროცესში. სანამ კაპიტალიზმის განვითარება მიახწევდა უკიდურესობას, სანამ მუშათა კლასის ორგანიზაციული და სოციალური ძალა გაზრდებოდა, მანამ შესაძლებელი იყო ბურჟუაზიის აპოლოგეტებს ხელში ჰქონდათ „თავისუფლების“ დროშა და ინდივიდუალისტური სახელმწიფოსთვის მიეცათ პარლამენტარული იერი. ამ შემთხვევაში პარლამენტის დამოკიდებული ორგანიზაცია იქნებოდა და მისი გამოყენებით შესუსტდებოდა მუშათა რევოლუციონური ენერჯია, დარწმუნებული რეფორმების მოლოდინში პარლამენტის გზით. დღეს კი, როდესაც ორგანიზაციული კაპიტალი და შრომა ერთმანეთს დაუპირისპირდა შეუძლებელი გახდა მათი ერთად მოთავსება და საკითხი პირდაპირ დაისვა—ან ბურჟუაზიის ან მშრომელი ხალხის დიქტატურა.

ფრ. ენგელსი ფიქრობდა, რომ მუშებს არ დასჭირდებოდა ქუჩაში გამოსვლა, რომ ისინი არ

გახდებოდნენ მსხვერპლი განვითარებული მილიტარული იარაღების და კანონდებლობის დაიპყრობდნენ „კანონიერი“ გზით. წინასიტყვაობაში მარქსის „კლასობრივი ბრძოლისა საფრანგეთში“ ენგელსი დარწმუნებით გამოთქვამს იმ აზრს, რომ ბურჟუაზიის მიერ გამოცემული კანონები აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოსადეგი იქნება მათსავე საწინააღმდეგოდ, რადგან მშრომელი ხალხი კი არა, არამედ თვით ისინი იძულებული იქნებიან აჯანყებას მიმართონ მუშათა კლასის მიერ „კანონიერი“ გზით დაპყრობილი ძალა-უფლების წინააღმდეგ.

დღევანდელი მომენტი, როგორც ფიგურალური სახეობა გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური მდგომარეობის, აშკარად ხდის ასეთი აზრის შეცდომას. „კანონიერი“ გზით ვერაფერს იპყრობს მუშათა კლასი. იგი „უკანონო“ უნდა აჯანყდეს, რომ მოახლოვოს კანონიერება და სამართლიანი პირობები მთელი საზოგადოების არსებობისთვის.

დღეს კომიტეტური ამ „უკანონო“ გზას ადგია რეაქციის გათავსებულობა იწვევს მუშათა კლასის გამოფხიზლებას. საფრანგეთის ბურჟუაზიამ რურში ვერ მიიღწია თავის მიზანს, ხოლო შესძლო მუშათა ამოძრავება და მათი გაფიცვების გამოწვევა. ეს კონკრეტი ფაქტი დამახასიათებელია კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკის.

მათი ტრაგედია მასში მდგომარეობს, რომ ეს „გამარჯვებული“ ხალხი ვერც ერთ გამარჯვებას ვერ აღწევს.

ევროპის ეკონომიკის რენესანსის შანსები არა სჩანს. პოლიტიკურ კითხვებსაც ბურჟუაზია ვერ სჭრის. როგორც ვუხმინ, ისე დღესაც, ვერც დასავლეთის და ვერც აღმოსავლეთის მთავარი საკითხები ვერ პოულდნენ გარკვეულ პასუხს.

ლოზანში კვლავ სწარმოებს უნუგეშო ლაყბობა. ოსმალები ზურგ გამაგრებული საბჭოთა რესპუბლიკების თანაგრძობით და ამერიკასთან ეკონომიური ურთიერთობის დატყობის, ულტიმატუმს უდგენს მოკავშირეებს. ისინი აცხადებენ, რომ როდესაც სტამბოლის ევაკუაციის საკითხი გადაიჭრება ოსმალეთის სასარგებლოდ, მაშინ შეიძლება ლაპარაკი კონცესიების შესახებ, ხოლო შეთანხმება ევროპიელ კონცესიონერებთან შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ოსმალეთის ვალების ორი მესამედის ანულოაციის მოკავშირეთა მიერ.

როგორც ვხედავთ გათავსებულ რეაქციის ბჭე ვერ არის მტკიცეთ გამაგრებული. იგი იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ შეინარჩუნა პოლიტიკური ბატონობა, მაგრამ იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ ვერ შესძლო დაძლევა ღრმა სოციალ-პოლიტიკურ კონფლიქტების. ამ კონფლიქტების, დაუღლებლობაში მარხია რეაქციის დაძლევის უტყუარი შანსები.

უიფილი კართული კლუბის საგზისულო ღარბაში

შაბათს, 30 ივნისს

ს. ფაშალიშვილის საღამო

პროგრამა:
1. შესავალი სიტყვა
აღ. წერეთლის.
2. წარმოდგენა.
3. საკონსერტო
განყოფილება.
4. დეკლამაცია

მონაწილეობენ:
მწვალანი:
ს. აბაშელი,
ს. ფაშალიშვილი,
ობოლი მუშა,
გ. ქუჩიშვილი,
დ. ცვარნაში,
დემნა შენგელაია,
მის. ბოკორიშვილი,
აღ. წერეთელი და სხ.
ღრამის არტისტები:
აღ. იმედაშვილი,
ტასო აბაშიძე,
თამარ ჭავჭავაძე,
ს. კასრაძე და სხვ.

მოგვარდები:
გ. შარაშიძე,
ქაშაძეშვილი,
მარგარიტა გოგლიჩიძე,
თამარ ნიკოლაძე,
დ. აკოფაშვილი,
ნ. სტარჩაკოვა,
დები თარხნიშვილები,
და სხვ.

რომალთან:
ზ. ბახუტაშვილი-ბელსკისა,
და სხვ.

დასწყისი ხალაობ 5 ნახ. საათზე.

უიფა დასესხულება და კერძო პირთ

(გარდა სამხედრო უწყებისა),

რომელთაც ყავთ სამგზავრო თუ საბარგო ავტომობილები და მოტოციკლები, ევალეობთ დაუყოვნებლივ მიიღონ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტიდან (ოთახი № 4) შესაფერისი ნომრები და მოწოდებები თავისუფალ მიმოსვლის შესახებ.

იმ დაწესებულებათ და კერძო პირთ, რომელთაც რეგისტრაციაში ერთხელ უკვე გაუტარებიათ თავიანთი მანქანა და დროებითი მოწოდებები მიუღიათ, ევალეობთ უკან წარმოუდგინონ დროებითი მოწოდებები და მიიღონ სათანადო ნომრები და მუდმივად მოწოდებები.

რეგისტრაცია ტარდება შექდეგ ვადებში:

1, 2, 3, 4 კომისარიატი	— 27 ივნისიდან 5 ივლისამდე;
5, 6, 7, 8 „	— 6 ივნისიდან 10 ივლისამდე.
9, 10, 11, 12, 13. „	— 11 ივნისიდან 16 ივლისამდე.

სარეგისტრაციოთ გამოცხადებული ნომრების მიღებისთანავე გადახდებთ, თანახმად აღმასკომის დადგენილებსა, მოწოდებების და ნომრების დასამზადებელი ერთი მანეთი და სამოცდა-ხუთი კაპეიკი ჩერვონ.

სრულიად გამოუდგარი ავტომობილები და მატოციკლები არ გატარდებიან რეგისტრაციაში და არც ნომრები გაიცემა მათზე.

მანქანათა პატრონთ, რომელბიც სარეგისტრაციოთ და მოწოდებების მისაღებად დანიშნულ ვადაზე არ გამოცხადდებიან, გადახდებთ საურავი (пеня) ვადის გასვლიდან 10 დღის განმავლობაში შესატან თაქნის 5 პროცენტის რაოდენობით.

იმ დაწესებულებათ და პირთ, რომელნიც რეგისტრაციაში არ იქნებიან გატარებული და უბილეთით და უმოწოდოთ მიმოსვლას განაგრძობენ, სრულიად აღეკატალებათ მიმოსვლა და პატრონიც პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

პრეზიდენტი.
№ 379

რედაქციის გაკლივება

ბოიკოტი შვიისარის

ბერლინი. 25 ივნისი. საბჭოთა მთავრობის მიერ შვეიცარიისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, „ფრაკურტერ ცეიტუნგი“ სწერს: „რუსეთის მიერ შვეიცარიისათვის გამოცხადებული ბოიკოტი შეიძლება ცუდად გათავდეს, მით უმეტეს, რომ რუსეთი უფრო მეტს აძლევდა შვეიცარიას, ვინემ მისგან ღებულობდა“.

შვეიცარიის ბურჟუაზიული გაზეთები უკომენტაროდ შეხედენ ბოიკოტის გამოცხადებას.

„ბაზელერ ფორვეტსი“ სწერს: „შვეიცარიის საბჭოთა მთავრობის პასუხი მიიღო იმ ლაქიობისათვის, რომელსაც ის ანტანტას უწევს“.

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ორგანო სრულიად გაუგებრად და სამარცხვინოთ სთვლის შვეიცარიის ეროვნულ საბჭოს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის მოქმედებას, რომელმაც თავი შეიკავა ვიროვსკის მოკვლის საკითხის კენჭის ყრის დროს გაზეთის აზრით, სოციალ-დემოკრატებს მხარი უნდა დაეჭირათ კომუნისტების შეკითხვისათვის, რომელიც საჯაროთ ეთანხმება პარტიის შეხედულებას რუსეთის საკითხის შესახებ.

გადასრიალება გულგარეთი

ვენა. 26 ივნისი. ბულგარეთის მთავრობის ბრძანების თანახმად რუს ლტოლვილებს მიენიჭა ისეთივე უფლებები, როგორც ბულგარეთის მოქალაქეებს. გაუქმებულია ყოველგვარი შეზღუდვა რუს ლტოლვილების უფლებების.

ისარგებლეს რა ამით, რუსმა თეთრგვარდიელებმა გააძლიერეს იმ რუს ლტოლვილების დევნა,

რომლებსაც სამშობლოში დაბრუნება სურთ. გაზეთი „ახალი რუსეთი“ მიაქცევს მთავრობის ყურადღებას თეთრ გვარდიელების მოღვაწეობაზე და მოითხოვს რუსი ლტოლვილების ინტერესების დაცვას.

ვენა. 25 ივნისი. საფრანგეთი და საბერძნეთი დაეთანხმნენ საბერძნეთ-სლავიის წინადადებას ბულგარეთის წინააღმდეგ შეთანხმებული გამოსვლის შესახებ. იტალია წინადადებას არ დაეთანხმა. ინგლისმა და რუმინეთმა განაცხადა, რომ დაეთანხმებიან სლავიის წინადადებას იმ შემთხვევაში თუ ბულგარეთის ახალი მთავრობა დაარსდეს ზავის პირობებზე. ახლა, იმის შემდეგ, რაც საფრანგეთმა იცნო ბულგარეთის ახალი მთავრობა, საბერძნეთმაც შესცვალა თავისი პოზიცია.

რურის საკითხი.

პარიზი. 25 ივნისი. პავსის სააგენტოს ცნობით, საოკუპაციო ჯარების სარდალმა ბრძანება გასცა რურის ოლქში ნახშირის მთელი მარაგის რეკვიზიციის შესახებ. საკონტროლო კომისიის განცხადებით ეს მარაგი საჭიროა ბელგიისა და საფრანგეთისათვის.

პარიზი. 27 ივნისი. ვადმოქვეყნენ, რომ რამოდენიმე გერმანელი, რომელთაც აკრძალული ჰქონდათ ლამით ქუჩაში გამოსვლა, მოკლული და დაქუჩენ ბელგიის პარტულის მიერ ბიუტრში.

პარიზი. 25 ივნისი. „ეტრანსიციენსი“ აზრით, გერმანიის მთავრობის ნახევრათ ოფიციალური განცხადება, რომ შეუძლებელია რურის რკინის-გზების გადაცემა მოკავშირეებისათვის, შეუძლებლათ ხდის შეთანხმებას მოკავშირეებსა და გერმანიის შორის.

ლონდონი. 25 ივნისი. მოლაპარაკება ლონდონსა, პარიზსა და ბრიუსელს შორის რეპარაციების შესახებ გაკვირვებდა. საფრანგეთის მთავრობა, რომელსაც სურს ბელგიისთან შეთანხმებით მოქმედება, უკმაყოფილოა ინგლისის აუქციონებლობით.

ახალი ამბები

— **ოხმალეთში ლტოლვილების დაბრუნება.** ოხმალეთში გაიგზავნა 5 პარტია ოხმალეთის ლტოლვილების, რიცხვით რამოდენიმე ათასი კაცი.

— **ნოვოზიბოვსკის გაგზავნა** ამიერ-კავკასიის ვაქრობის სახ. კომისარიატი აწარმოებს უცხოეთში გაგზავნათ 250 უ. ნოვოზიბოვსკის.

— **ხელმწიფო გამოცემის პირველ სახელ. კონსერვატორიარი.** სამუსიკო სექციამ დადგინა, რომ ის მოწოდებით, რომელიც უკმაყოფილო არიან კონსერვატორიის კურსის დამთავრებულ მღვდელ ნიშნებით დაიშვებიან ხელმწიფო გამოცემაში.

— **იარაღი ფხიხლოვანი ლაბარატორიისთვის.** სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო ევროპიდან ფხიხლოვანი ლაბარატორიის ხელსაწყოები იარაღები.

— **მალარიით ავადმყოფ ბავშვების გაგზავნა.** სასკოლო ასაკამ აღზრდის განყოფილებამ დაადგინა გაგზავნის სააგარაკო ადგილებზე მალარიით ავადმყოფი ბავშვები, იმ საბავშვო სახლებიდან, რომელნიც არსებობენ პროვინციის ქაობიან ადგილებში.

— **სეირნობა.** კვირას 1 ივლის სახალხო კლუბის „არტოს“ ბაღში გაიმართა სეირნობა—სალამო საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის კულტ-განყოფილების სასარგებლოდ.

— **შრომის ბირჟა.** გამოცხადდა 405, ახლად ჩაეწერა 68, გაიგზავნა სამუშაოზე 26.

— **სკოლების გადაცემა.** დადგინდა იქნა პროფესიონალური სკოლები მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე გადაკეთდეს შრომის სკოლებით და გადაეცეს ქალაქის აღმასკომის განათლ. განკარგულებას.

— **სანიმუშო ექსკურსიების მოწყობა.** განათლების კომისარიატმა მზარების და ქალაქების განათლების განყოფილებებს დაუგზავნა ცირკულიარი მიწერილებებით სანიმუშო ექსკურსიების ქსელის მოწყობის შესახებ. ცირკულიარს დართულ

აქვს დაწერილებითი გეგმა, თუ როგორ უნდა ეწყობოდეს სანიმუშო ექსკურსიები.

— **ბოროტ მოქმედება აფთიაქში.** სასამართლო დაამთავრა პროვინორ ბაგრატი ანტონოვის საქმის გარჩევა, რომელსაც ბრალდებოდა წამლების ფალსიფიკაცია. სასამართლომ პროვინორ ანტონოვის მიუსჯა უმალესი სასჯელი დახვრეტა. მხოლოდ ადმინისტრაციის ძალით დახვრეტა შეეცადეს 10 წლის სატუსალოში დაპატიმრებით სრული იზოლიაციით და უფლებების აყრით.

— **ექიმების პასუხისმგებლობა მიცემა.** პასუხისმგებლობა მიცემულნი არიან შემდეგი ექიმნი: კონსტ. ლორთქიფანიძე, ვიქტორ მაზელსანი, ალექსანდრა კიზირიაშვილი, სარბეგოვი, მიხეილ ხოჯანიანი, სუსანა მარკოვა, ოლღა მარზაშვილი, მამედ ალიევი, მიხეილ ნემსაძე, მარია უგრელიძე, გრიგოლ ჩენკალენკოვი და ანა მამონოვა. ყველა ამბობდა ბრალდებით პროვინორ ანტონოვის ბოროტმოქმედების ხელის შეწყობა.

— **ტრამვაის რელების ყიდვა.** იქ. ვაწაძეს დაევა ქალაქის ტრამვაისთვის შეიძინოს საჭირო რელები რუსეთში.

— **სავალიუტო ბირჟა.** 28 ივნისის ოფიციალური კურსი. ჩეკონეცი—13,450 ათ., სტერლინგი—14,450 ათ., დოლარი—3,300 ათ., ოსმალური ლირა—2,360 ათ., ფრანკი—160 ათ.

— **საქონლის ბირჟა.** ხორბალი იაფდება. პირველ ხარისხის ფეკილზე ფასები მტკიცეა. დიდი მოთხოვნილება მატყლზე და ზეთზე.

— **მონორარების შესახებ.** ბეჭდვითი კავშირმა წინადადება მისცა ავტოლობრივ ბეჭდვითი ბიუროს, რათა ყველა რედაქციებმა აძლიონ თავის თანამშრომლებს პონორარი იმ ტარიფით, რომელიც გამოიყენებულა კავშირის და დამტკიცებულა მთავრობის მიერ. ბიურო უკვე შეუდგა რედაქციების საანგარიშო წიგნების რევიზიას.

ამბათა სხობრება

გუგათა კლასის დემონსტრაცია (ბესო მისურაძის იუბილეს შიამბეჭდილება).

1923 წ. 23 ივნისის დღე ნამდვილი მუშათა დემონსტრაცია იყო მუშა-მსახიობის, ბესო მისურაძის, იუბილეს სახით.

მარქს-ენგელსის კოლონიკა პიროვნულ საპითხში

ნ. მე-**XIX**-ე საუკუნის ნაციონალური მოძრაობანი და მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკა.

(შემდეგი)
მე-**XIX**-ე საუკუნის პანსლავური მოძრაობა იყო აშკარა რეაქციონური, მარქსის გაგებით, როგორც თავისი მიზნით, ისე საშუალებითაც, პანსლავიზმის მიზანი იყო შექმნა სლავიანთა დიდი სახელმწიფოსი. რუსეთის მეთაურობით, და ამ მიზნის მიღწევას იგი ფიქრობდა რუსეთის რეაქციონური მთავრობის დახმარებით, მისი საშუალებებით, ამიტომ სლავური მოძრაობა ევროპაში წარმოადგენდა დამხმარე ძალას, „ფორ-პოსტს“ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკისა და რეაქციის განსამტკიცებლად ევროპაში, რაც თავის თავად გამოიწვევდა ყოველგვარ რევოლუციონურ მოძრაობის მოსპობას.

1849 წელს „ახალი რეინო“-ში მარქსი მაშინდელ პანსლავიზმის შესახებ შემდეგს სწერდა: „პანსლავიზმის პირდაპირი მიზანია ილდენა სლავურ სახელმწიფოსი რუდნისა და კარპატის მთებიდან მოკიდებული შავსა, ევროსისა და ადრიატიკის ზღვებამდე რუსეთის წინამძღოლობით, —სამეფოსი, რომელიც შემთავრდელა ვარდა გერმანიული, იტალიური, მადარიული, მოლდავიური, ოსმალური, ბერძნული და ალბანური ენებისა, კიდევ ათ-თორმეტ სლავურ ენებსა და კილოკავებს. ყველა ამ ელემენტს უნდა აკავშირებდეს არა ის, რაც აძლენ ხანს აერთებდა და ანეითარებდა ავსტრიას, არამედ სლავობის განყენებელი თვისებანი და ეგრეთ წოდებული სლავური ენა, რომელიც თითქმის საერთოა მცხოვრებთა უმრავლესობისათვის. მაგრამ სად არის ეს სლავობა, ვანა მხოლოდ ზოგ იდეოლოგთა თავში? სად არის ეს სლავური ენა? ნამდვილთა კი ეს ხალხები სდგანან ცივილიზაციის სრულიად სხვა და სხვა საფეხურებზე... და ამიტომ ყველა ამ ხალხს ნამდვილთა მომარდაპირე ინტერესები აქვთ. სინამდვილეში სლავური ენა ამ ათი-თორმეტი ერისა წარმოადგენს ამდენსავე სხვა და სხვა კილოკავს—ამასთანავე ერთ ერს სრულიად არ ესმის მეორე ერის კილოკავი (язык) და საექეთა რომ შესაძლებელი იყოს მათი თავმოყრა სხვა და სხვა მთავარ ტომებში.

ამრიგად პანსლავიზმის მთლიანობა ან წმინდა ფანტაზია ან... და სხვა. (ციტატა ამოღებულია პროფ. მახ-რეის წიგნიდან: „მარქსიზმის საფუძვლები“... გვ. 403).

მარქსის ამ წერილიდან მტკიცდება, რომ მის 1) სლავიანთა მთლიანობა ფანტაზია, რელიურ საფუძვლის მოკლებულ მოძრაობად მიაჩნდა; 2) რომ ეს მოძრაობა იყო რუსეთის რეაქციის განმარტებელი და განმტკიცებელი მთელს ევროპაში; უკანა-

ეს დღე ტფილისის მუშათა ცხოვრებაში წაშლული დარჩება.

როგორ დააფასეს ტფილისის მუშებმა მუშა ბ. მისურაძე, ან რით განსხვავდებოდა ეს იუბილე იმ ჩვეულებრივი იუბილეებისაგან, რომელიც იმართება ხოლმე ტფილისში?

სწრაფი მომენტ მარქსის პოლიტიკის მთავარ მომენტს შეადგენდა მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში. მთელ რაგ თავიანთ წერილებში, სიტყვებში, მოხსენება და მწერლობებში ინტერნაციონალის კონგრესებზე, მარქს-ენგელსი უხსნიდენ ევროპის მუშათა კლასს, რომ რუსეთის რეაქცია არის რევოლუციის მტერი და ამ ძალაში ევროპის რეაქცია თავის დამხმარე მფარველს ხელდაესო. ამიტომ იყო, რომ მარქსის გაზეთი დაეინებოთ მოუწოდებდა რევოლუციონურ ომისაკენ რუსეთის რეაქციის წინააღმდეგ გერმანიის, რომ ამით გზა გახსნოდა რევოლუციონურ და ნაციონალურ—პროგრესულ მოძრაობას. 1848 წ. ივნისში „ახალი რეინის გაზეთი“ სწერდა: „*Царь спит перед воротами Тюрна!*“ და მოუწოდებდა რუსეთის წინააღმდეგ ვასალურებად რევოლუციის გამარჯვების მიზნით. მართლაც 30 წლის შემდეგ დოკუმენტურად დამტკიცდა, რომ ნიკოლოზ I წინადადებას აძლევდა პრუსიის კამაროლის რუსეთის ჯარის დახმარების შესახებ გერმანიის რევოლუციის ჩახალჩობად და ძალით დესპოტიზმის აღსადგენად. ერთი წლის შემდეგ რუსეთის მეფემ გადააოჩინა ავსტრიის დესპოტიზმი მუნერეთის რევოლუციის განადგურებით. ამიტომ გაზეთისა და თვით მარქს-ენგელსისათვის ნათელი შეიქმნა, რომ გერმანიის რევოლუცია ვერ გაიმარჯვებდა, თუ იგი არ დაამხვრედდა პრუსიისა და ავსტრიის დესპოტიზმს, ეს მიზანი კი მიუღწეველი დაჩრდილდა, სანამ რუსის მეფე განაგებდა ევროპის საქმეებს და ეხმარებოდა ამ ორ დესპოტს, (იხ. მერინგის წიგნი—129).

თვით ენგელსმა 28 წლის შემდეგ ასე შეაფასა მაშინდელი პოლიტიკა რუსეთის მეფისა: „*Россия стала главным столбом европейской реакции, не отказывая себе при этом в удовольствии поспердевать панславистическому шатре.*“ (იხ. Статьи 1871—75 ე. ს. გვ. 43)

ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახლაც (1874 წ.) ოფიციალური რუსეთი წარმოადგენს მთელი ევროპის რეაქციის ყავარჯენს, და სანამ ავსტრიისა და გერმანიის მთავრობების ზურგს უკან სდგას რუსეთი, გერმანიის მუშათა მოძრაობას ყოველთვის მოელოს დამარცხება (გვ. 44).

რუსეთის იმპერიალიზმისა და პანსლავიზმის საკითხი აშკარად ცენტრალურ ადგილს იჭერდა მარქსის პოლიტიკაში; იგი ამ რეაქციონურ ძალაში ხედავდა ევროპის მუშათა მოძრაობის ერთ ერთ დიდ შემთავრებელ ელემენტს.

რახაკიერველია ბევრი რამეებით და უმთავრესად იმით, რომ მისურაძის იუბილე იყო რევოლუციონური შინაარსის, რომელშიაც ჩაქსოვილი იყო გულწრფელი სული და გული მუშა ხალხისა.

დახა, გულწრფელი, ვინაიდან ძალდაუტანებლად მოზღვავებული მუშები ვერ დაიტია რუსთაველის დიდმა თეატრმა; მოთხოვნილება დიდი იყო, სურვილი განუსაზღვრელი და ამიტომ იუბილეს მომწყობმა კომისიამ საყვედურები ბევრი მიიღო მუშებისაგან, რადგანაც ბევრმა მუშამ ვერ იხილა მისურაძის იუბილე თეატრში ულაგობის გამო.

უკვე 9 საათზე მუშებით გაქედლი თეატრი მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა. რომელთაც გართობით უმასპინძლებოდა ყოველი ადგლხანოვის ფაბრიკის მუშათა ორკესტრი.

საიუბილეო წარმოდგენის დაწყებამდე თ. ნასიძემ მოკლედ დაახასიათა ბესო მისურაძის მოღვაწეობა და ვინაობა.

წარმოდგენა პიესა „თამარ ბატონიშვილი“—თ დაიწყო და გათავდა „ნახუმა“-თი. პიესა „რაც ვინახავს ვეღარ ნახავ“ დავიანების გამო მოიხსნა.

წარმოდგენაში მონაწილეობდა ქართული სცენის დამამშვენიებელი და კომედიის გენიოსი რესპუბლიკის სახალხო მსახიობი ვახო აბაშიძე.

იუბილიარმა შეასრულა მაქანკალი „ნახუმას“ როლი.

როგორი იყო მისი თამაში და როგორ დაახასიათა მან როლი?

ამაზედ ლაპარაკი სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია, ვინაიდან ჩვენ მუშებმა მისურაძეს იუბილე გადაუხადეთ არა როგორც „ახალი შკოლის“ ხელოვან-მსახიობს, არამედ იმ ძველი და ქურჭრი შკოლის აღზრდილ მუშა-მსახიობს, რომელიც თავის მუშური შეგნებით და „თავისებური“ ხელოვნებით ბოვანო ხალხის უზნებში აყვებოდა იმ საქმეს, რომელმაც 30 წლების განმავლობაში საგრძობი ნაყოფი გამოიღო რევოლუციის ნიადაგის მოსამზადებლად... მეტი არაფერი...

ბესო მისურაძე რომ ბუნებას უხვი და „მადლიერი“ ნიჭით დაეჯილდოვებინა და გარდაქმნილიყო პროფესიონალ მსახიობათ, იგი უნაყოფო იქნებოდა ჩვენთვის, ვინაიდან ასეთია მწარე სინამდვილე გარეთა უზნების სახალხო თეატრების ისტორიისა.

დაახლოებით 12 საათზე მუსიკამ დაუკრა ინტერნაციონალი, ფარდა აფრიალდა და დაიწყო საზეიმო სხდომა.

სურათი მშვენიერი და ლამაზი იყო.

მთადგენდენ რუსეთის იმპერიალიზმის „ფორპოსტს“ და მთელი მათი პოლიტიკა მიმართული იყო რევოლუციის გასანადგურებლად. მარქს-ენგელსის გაზეთი („ახალი რეინის გაზეთი“) აღნიშნავდა, რომ სლავიანები არსად არ ღებულობდენ სერიოზულ მონაწილეობას რევოლუციონურ მოძრაობაში 1848 წ. „მაშინ, როდესაც ფრანგებმა, გერმანელებმა, იტალიელებმა, პოლონელებმა, ჰუნგარელებმა ასწიეს რევოლუციის დროშა, სლავიანები როგორც ერთი კაცი დასდგენ კონტრ-რევოლუციის დროშის ქვეშ, ყველაზე წინ სამხრეთ სლავები, რომელნიც უკვე დიდი ხნის წინად იცავდენ თავიანთ კონტრ-რევოლუციონურ ზრახვებს ჰუნგარელების წინააღმდეგ, შემდეგ ჩეხები, მათ უკან კი, საომრად შეიარაღებულნი, გამხადებულნი გადამჭრელ მომენტისათვის ბრძოლის სარბილზე გამოსასვლელად, რუსები“ (სტეკლოვის წიგნი-გვ. 29).

მერინგი თავის მონოგრაფიაში გადმოგვცემს, რომ მარქს-ენგელსის დამოკიდებულებაში სლავთა ერებთან, უწინარეს ყოვლისა გადამჭრელ როლს თამაშობდა რევოლუციის ინტერესები; ვენის მთავრობის ბრძოლის დროს წინააღმდეგ გერმანიისა და ჰუნგარეთის რევოლუციონერებისა, ავსტრიის სლავიანები, პოლონელების გამოშვებით იდგენ რევოლუციის მტრების მხარეზე. მათ აიღეს ამოხეხული ვენა და მისცეს ის შეუზღებლად შურის საძიებლად სამიწერიოდ და სამეფო ძალეგს; მაშინ, როდესაც ენგელსი ებრძოდა ბაქუნინს, ისინი (სლავიანები) იბრძოდენ აჯანყებულ ჰუნგარეთის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივად შეიშავდა რევოლუციონერთა ბანაკში ანტი-სლავიური პოლიტიკა. ბაქუნინის მოთხოვნაზე-უზრუნველყოთ ავსტრიის სლავიანებისათვის მათი დამოუკიდებლობა, ენგელსი უპასუხებდა: „ჩვენ ამაზე არ ვფიქრობთ. სანტიმენტალურ ფრახებზე ძმობის შესახებ. რომელიც ჩვენ მოგვმართავენ ევროპის ყველაზე უფრო კონტრ-რევოლუციონურ ხალხების სახელით, ჩვენ უპასუხებთ მითითებით, რომ სიძულვილი რუსებისადმი იყო და შემდეგშიც განაგრძობს შეიქმნეს პირველ რევოლუციონურ მისწრაფებად გერმანიის მიმართ. რევოლუციის დასაწყისიდან ამას ემატება სიძულვილი ჩეხებისა და კრაატებისადმი, და ჩვენ, პოლონელებთან და მადარიებთან ერთად, შევსდებით უზრუნველყოთ რევოლუცია მხოლოდ ყველაზე უფრო გადამჭრელ ტერორის გზით ამ სლავიანთა ხალხების მიმართ. ჩვენ ვიცით ახლა, სად არიან თავმოყრილი რევოლუციის მტრები: რუსეთში და ავსტრიის სლავიანთა მიწა-წყალზე, და არავითარ ფრახებს, არავითარ მითითებას ამ ქვეყნების გამოურკვეველ დემოკრატიულ მომავლის შესახებ არ შეგვიძლია შეგვაჩერონ ჩავთვალეთ მტრებად ჩვენი მტრები“. (მერინგი—123—3)

ისტორიული ცხოვრების ვითარებამ ავსტრიის სლავიანთა იუბილე გამოიყვანა კონტრ-რევოლუციონურ როლში, ხოლო პოლონელები, გერმანელები, ჰუნგარელები მხარს უჭერდენ რევოლუციის და

სცენის სიღრმეში აღმართულ ტრასზე ჩამოკრივებული იყო ერთი მხრე... მარქს-ენგელსის მღერალთა გუნდი ქულავეტში გამოიყვანილი და მეორე მხარეს შ. ხატიაშვილის მიხედვით გუნდი...

ავანსცენის მარჯვენა მხარე ეკავა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს ანხ. ვ. ყურულიშვილს, მის ამხანაგებს და კომიტეტის წევრებს: მათ გვერდით ისხდნენ ორგანიზაციების, დაწესებულების და მუშათა წარმომადგენლები, მუშა პოეტები, მწერლები და სხვა. სცენის მარცხენა მხარეს აღმართული იყო იუბილიარის სავარძელი, რომელსაც გარშემორტყმული ჰყავდა ავლაბრის მუშათა კლუბის მუშა-მსახიობთა დრამატული წრე თავიანთ რეისორ ი. რევაზიშვილის მეთაურობით.

ალ. მისურაძის გუნდმა იმერტა მრავალ ეამიერ და შემოიყვანეს იუბილიარი მუშა სცენიზე, მის თან შემოჰყვენ სომეხი და ქართველი ძველი ქალბარა მუშები:—ტაში, ვაშა, მუსკა, სიმღერა, აღფრთოვანება და ცრემლიანი სიხარული ერთმანეთს შეეგუო და სცენასა და დარბაზს შორის შეიქმნა ერთი პარმონია.

დარბაზი დაწყნარდა, სრული სიჩუმე გამეფდა.

საიუბილეო კომიტეტის სახელით მგრძობიარე სიტყვით მიმართა იუბილიარს თ. ნასიძემ და მართდა დავის გვირგვინი წითელი ლენტით და უკვდავი შოთას უკვდავი ქნილება „ვეფხისტყაოსანი“.

კომისარტა საბჭოს და განათლების კომისარიატის სახელით ფართე სიტყვით მიმართა იუბილიარს ანხ. ფურციძემ და გადასცა ნახევარი მილი არდი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით რევოლუციონური შინაარსიანი სიტყვა სთქვა ანხ. კვირიკაძემ და გადასცა იუბილიარ მუშას ორასი მილიონი.

დაიწყო ორგანიზაციების და დაწესებულების წარმომადგენელთა მისაკოცი სიტყვები:—„პაირატუნის“ (სომეხ მწერალთა საზოგადოების) სომხურ გაზეთ „მართაკოჰის“, სომხურ აკადემიურ დრამის, მრავალი სახალხო თეატრების წარმომადგენლების, პროფკავშირების:—მბეჭდავეის, გემო კვების, მეცყავეთა, შრომის შკოლის, აფთიაქის და ავკალის წყლის სადენ მუშებისაგან, გაზ. „ზარია ვოსტოკას“ ასოთ-ამწყობ მუშებისაგან, რკინის გზის სტამ-

ამით იცავდენ თავიანთ დამოუკიდებლობას. სლავიანები ჰუნგარეთის რევოლუციის დახმარებაში და ჰუნგარელების დამოუკიდებლობა წინააღმდეგ ბრძოლაში ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას. ენგელსისათვის ეს არის რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა კონტრ-რევოლუციისა და რუსული იმპერიალიზმის სასარგებლოდ. იგი მთელი თავისი არსებით რევოლუციონურ ერების მხარეზე დგება და ტერორით ემუქრება კონტრ-რევოლუციონურ ერებს. იგი სწედს რომ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩვენ ვიცით რა უნდა გავაკეთოთ—„მაშინ ბრძოლა, შეუზღებელი ბრძოლა სიკვდილ-სიკვდილსათვის მოლაღატე, რევოლუციის გამკენ სლავიანთთან; მაშინ—გერმანიის ინტერესებისათვის, არამედ რევოლუციის ინტერესებისათვის.“ „უახლოესი საერთაშორისო ომი, —სწერს მეორე წერილში ენგელსი,—წყლის დედამიწის ზურგდანი არა მარტო რეაქციონურ კლასებს და დინასტიებს, არამედ მთელს რეაქციონურ ხალხებსაც,—ესეც გარეთვე პროცესი იქნება.“

მე განვტე შევაჩერე მკითხველის ყურადღება ასე ვცალდა მარქს-ენგელსის პოლიტიკაზე სლავიანთა მოძრაობის მიმართ. ამ პოლიტიკის დროს გადამჭრელ როლს თამაშობდა რევოლუციის ინტერესები. იყო კიდევ ერთი მოსახრება. 1848—52 წლებში მარქს-ენგელს არ სწამდათ ავსტრიის სლავიანთა ერების მომავალი: „იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ არა აქვთ ისტორიული, გეოგრაფიული პოლიტიკური და ეკონომიური წინასწარი პირობები დამოუკიდებლობისა და ცხოველმყოფელობისათვის“. აქედან წარმოსდგა ის, რომ ჩეხეთი და კრაატები მომავლად ნაკლად გამოაცხადეს.

როგორი პოლიტიკური შეფასება უნდა მივაწეროთ მარქს-ენგელსის ასეთს პოლიტიკას? 1) სწორი იყო მათი პოლიტიკა, როდესაც ისინი მხარს არ უჭერდენ პანსლავიანურ მოძრაობას, რადგან ეს მოძრაობა აღნიშნულ კონკრეტულ პირობებში რეაქციის გამარჯვებას უდრიდა. ამ მოძრაობის საშუალებით ცდილობდა რუსის მონარქია თავისი ბატონობა განემტკიცებინა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის კონტინენტზე. ვერც იმ ერების მოძრაობასა და დამოუკიდებლობას დაუჭერდა მარქსი მხარს, რომელნიც რევოლუციის დამხმარე ცდილობდნენ თავის ბედნიერების მიღწევასა და რუსეთის იმპერიალიზმს, „ორ პოსტს“ წარმოადგენდენ. (ისინი იყვენ და დარჩენ ცარიზმის მსახურებად, —სწერდა შემდეგში ენგელსი). საერთო ცხოვრების პროგრესისათვის, გამარჯვება ამ მიმდინარეობის ნიშნავდა მრავალი წლების საშინელ რეაქციის და ფეოდალურ-პატრიარქალურ რუსეთის ბატონობას მთელ ევროპაზე, ასეთს კონკრეტულს

*) პროფ. მახარკი ამბობს, რომ სლავიანების დენაციონალიზაციის, მრავალი სლავიანიც აღნიშნავდა მარქსის მსგავსად.

სი სვილიანი

ამინ გაგულაშვილი

და შენი საყვედური სამგვარად დათენთილი...
თუ ჯერ ვერ გაიგე ჩემთვის ის რომ მეტია...

ბრაკავს გამგელეებს ანთებული ქურათი,
რების გუშაგი ვერაფერს სულში ვერ სტევის...

როთი ვერთობი. ესა მაქვს გახარება.
რაფერი ამაში ვისურვე მომეცია...

ის და იაფოს, იორდანის მნახველი
ჯოხით, გრძელ ჯოხით უცერად მოგვემეტა...

შვიდებს მე წიგნი: მარანის „ბატალა“.
როდ გაეცვიეთ ტუფისის თეატრები...

არის ხალისი. აღარ მყავს ნაცნობობა.
დაიჯერებ. ვფიქრობ: რით დაგაჯერო...

ომწოე ამაყ წვეს, რაც გინდა მამარილო.
ხათა ძლავრი მეგობრობა და მიყვარს შენი: ამინ...

გერცელ ბაზოვი

ის მუშებისაგან და მრავალმა სხვებმა რომელთა აქ
ხმით წერდა შეუძლებელია.

ამის შემდეგ გამოვიდნენ მუშა-პოეტები და
ალაოცი სიტყვების შემდეგ წაუკითხეს საკუთარი...

ბებში და ისტორიულ პერსპექტივის წინაშე
როგოლიუციონერი სრულიად ბუნებრივად...

დღესაც პროგრესი და რეაქცია ერთმანეთს ეჯდა,
პირველს დაიკვავს, და მარქს ენგელსმა ცლა...

ანთა წვრილ ერების ინტერესებს ანაცვალა რე-
ვიოლიუციისა და საერთოდ ევროპის წარმატების...

საქმეს. 2) მაგრამ ენგელსმა მეორე შემთხვევაში
უბრალოდ ჩაიდინა, როდესაც გამანადგურებ...

ბელი ომი გამოუცხადა არა არსებული მოძრაობის
გულრბას; არამედ თვით ნაციას, განსაზღვრულ ერს...

(ჩეხეთს, კრატიებს და სხვ.) *) როგორც აღნიშ-
ნული შეიძინა, აქ არის ძირითადი შეცდომა მარქს...

ენგელსის პოლიტიკისა, რომელიც მათ ჩაიდინეს
1848—52 წლებში. ბრძოლა გარკვეულ ეროვნულ...

მომართობს წინააღმდეგ არ წინააღმდეგ ბრძოლას
ძირითადი წინააღმდეგ და არც ერის თავისუფ...

ლების მოსპობის ცდას საერთოდ. ენგელს დაავიწყ-
და, რომ მაშინდელ სლავიურ მოძრაობას ხელმ...

ძღვანელობდა რეაქციონური წრეები, რომელთა
მოსპობა ამ ერებსა და მის მშრომელ კლასებს გარ...

კვეულ რევოლუციონერ რიგებში ჩაყენებდა.
მარქს-ენგელსის ეს ძირითადი შეცდომა ხაზგასმით...

გაზეთი
„ტ რ ი ზ უ ნ ი ა“
კანტონისაგან
ივლისის 1-დან „ტ რ ი ზ უ ნ ა“
ელირება:
თვიურად 1250,000 ზ.
ცალკე ნომერი 50,000 „

რების პიონერებმა გ. ჯაბაბურმა და იოსებ იმედა-
შვილმა. აგრედვე ასოთ-ამწყობი ძველმა მუშა-მსახიო...

იყო მრავალი მისალოცი წერილები და ღამის
მომუშავე მუშებისაგან მისალოცი დეპეშები.

სიმრავლის გამო საიუბალეო კომიტეტმა შეს-
წყვიტა წარმომადგენელთა მისალოცი სიტყვები.

მისალოცი სიტყვების დროს უკრავდა ორკეს-
ტრი და მღეროდნენ ობილირისათვის განსაკუთრე-

ბით მომზადებულ სიმღერებს.
განსაკუთრებული სიტყვით მიმართა იუბი-

ლიარს მცხოვრებმა მსახიო მუშაქმა და ქართველმა
მწიგნობარმა ზაქარია ქიქინაძემ.

ყველაფერი გათავდა.
უკანასკნელი სიტყვით მიმართა საიუბალეო

კომიტეტის საპატიო თაფჯდომარემ ამხ. გიორგი
ყურულაშვილმა.

ამხ. გ. ყურულიშვილმა მუშა იუბილიარს მიუ-
ლოცა ტფილისის აღმასკომის და სრულიად საქარ-

თველოს პროუკავშირთა საბჭოს სახელით რომელ-
მაც სიტყვა: ამხანაგო ბესო, დღევანდელი იუბილე

მარტო შენი კი არ გეუთენის, არამედ ეს იუბილე
მბეჭდავი მუშის სახით და მუშა-მსახიობის სახელით

არის მთელი მუშათა კლასის გამარჯვების დღესას-
წაული. ამხ. ყურულიშვილმა თვლი გადაავლო დარ-

ბაზს და განავრძო:—რას ნიშნავს და რას გვეუ-
ბნება ეს ამოდენა მოზღვავებული მუშა ხალხი?

მოიყვანა ეს მუშები აქ ვინმე ძალათ? რასაკერ-
ველია არა! დღევანდელი იუბილე ფარისევლები

კი არ არის, არამედ გულწრფელი, მუშების გული-
დან აღმოხეთქილი და მათი სურვილით გამოწვე-

ული... რატომ არა სჩანს დღეს აქ ბურჟუაზიულად
გარდატეხა კონტინენტურ ევრაზიურ ცვლილებას

ვერ გამოიწვევას. შექყვანა (ინგლისი), რომელმაც
გადააქცია თავის პროლეტარებად მთელი ხალხე-

ბი, მთელი მსოფლიო მოაქცია თავის გიგანტიურ
ბატონობის ქვეშ, რომლის საკუთარ საზღვრებში

კლასიურმა ანტაგონიზმა მიიღო ყველაზე უფრო
ცინიკური ფორმა, ინგლისი თითქმის წარმოდგენს

კლდეს, რომელზედაც იმსხვრევა რევოლუციონერი
ტრალეები! ის კლდე სიმშრეთის ახალ საზოგადოე-

ბას ჯერ კიდევ დიდისავე მუცელში. ასეთ პირო-
ბებში, მარქსის აზრით, სოციალისტური მოძრაობას

საფრანგეთში შეუძლია არსებითად შეარყიოს ბრი-
ტანეთის ბატონობა. საფრანგეთის პროლეტარიატის

აჯანყება, რომელიც დასცემს საფრანგეთის ბურჟუ-
აზიას, საზოგადოლო გამოიწვევს მუშათა კლასის გან-

თავისუფლებას: ერთის მხრით, ის დაეხმარება ყვე-
ლა ბურჟუაზიულ რევოლუციებს ევროპაში, (გერ-

მანეთში, ჰუნგრეთში და სხვა, რომელნიც თავის
მხრით წარმოდგენენ უშუალო გარდასვლად საფე-

მოაზროვნე ინტელიგენცია, ის ინტელიგენცია, რომ-
ელსაც ჩვენ, მუშები, არას დროს გვერდს არ უგ-

ლით და ვართ მათი პატივისმცემენი... რატომ
არ არის დღეს აქ სახალხო სახლის წარმომადგენე-

ლი, იმ სახალხო სახლის, რომელიც ითვლება ყველა
სახალხო თეატრების ავანგარდად და რომლის 30

წლის აუბილესაც ვაპირებ ჩვენა?!. ამხ. გ. ყურუ-
ლიშვილმა ეს მოვლენა მუშახარებით აღნიშნა.

და მართლაც, არ ვიცით რა გარემოებით არ
დაესწრო იუბილეს არც ქართული აკადემიური

დრამის, არც სახალხო სახლის და არც ქართველ
მწერლობის წარმომადგენელნი.

3. მდივანი.
სოფ. ხაგარეჯო (ტფილ. მაზრა) კვირას, ივ-

ნისის 24-ს აქ გაიმართა პარტიულ ამხანაგთა და
თანამგრობთა კრება. მოწვეული იყო ტფილისი-

დან მთავარ კომიტეტის წარმომადგენელი ზოგი-
ერთი კითხვების გასარკვევად. საქმე იმაში გახ-

ლავთ, რომ დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა
აქ არაფერ მოსულა და გაუცენია აქაური ამხანაგე-

ბისათვის პარტიამ მომხდარი განხეთქილების მი-
ზეზ-შედეგები. წინაღ სოფ. ხაგარეჯოში ჩვენი ორ-

განიზაცია ძლიერი იყო და მემარცხენეობდა, ი-
ნაიდან შესდგებოდა ნამდვილ ღარიბ გლეხობისაგან

და ინტელიგენციის მშრომელი ნაწილისაგან. არა
სოციალისტური ელემენტები ორგანიზაციაში თით-

მის არ იყო, ან არავითარი გავლენა არ ჰქონდა.
(ისევ ქართული ენის შესახებ).

გაზეთ „ტ რ ი ზ უ ნ ა“-ის მე-48 ნომერში ამოვი-
კითხე საქართველოს სახანაქის სოხუმის განყოფი-

ლების მმართველის მოქ. ჩხატარაშვილის წერილი
რედაქციის მიმართ.

რედაქციის იმ შენიშვნის შემდეგ, რომელიც
დართული აქვს ჩხატარაშვილის წერილს, საქმე

არ იყო ჩემი განმარტება, რომ მოქ. ჩხატარაშვი-
ლი თავის გასამართლებლად და ჩემი „მეტჩირო-

ბის“ დასამტკიცებლად, არ ეყრდნობოდა სახან-
აქის მთავარი გამგეობის არ არსებულ დადგენი-

ლებს და უადვილებს პროლეტარიატს ძალა-უფლების და-
პყრობას.

მარქს-ენგელსის ორგანო საერთაშორისო პო-
ლიტიკის ფართო პროგრამა წამოაყენა და მოით-

ხოვა ევროპის გრანდიოზული გარდაქმნა ახალს სა-
ფუძვლებზე (სტეკლოვი—29). ეს პროგრამა ითხოვ-

და თავისუფლად და გავრთიანებულ გერმანიის,
თავისუფალ პოლონეთს, თავისუფალ იტალიას, თა-

ვისუფლად ჰუნგრეთს,—შემდეგში ამას დამატა თა-
ვისუფალი ირლანდია, ელზას-ლორენი და სხვა. მაგ-

რამ ეს პროგრამა რადიკალურად ებრძოდა პანსლავ-
ისტურ მოძრაობას, როგორც რეაქციონერ მი-

მართულებას და რუსეთის იმპერიალიზმის ფორ-
მისტს.

მარქს-ენგელსი აყენებდნენ ეროვნულ პროგრა-
მის საფუძვლად დიად ინტერნაციონალურ პრინ-

ციპს: „არც ერთ ერს არ შეუძლია განთავისუფლ-
დეს წინააღმდეგ, ხანამ იგი ჩაგრაგვს სხვა ერს“ (კომ.

მან. გვ. 235). ამ პრინციპის ძალით იგი გარკვე-
ულ პროგრამას აძლევდა მხაგრული ერების პროე-

იმედია ხალხისთვის მოამადარე მუშების იუ-
ბილემი უკანასკნელი არ იქნება.
იუბილიარი მუშა მისულს მუშა-მსახიობმა

მისკომმა, პროუკავშირთა ხაზით, რომელიც
სხვა და სხვა დაწესებულებების, ორგანიზაციებისა

და ქარხნის მუშებმა ფულით დააჯილდოვეს.
ქეშმარიტად, რაც დასთესა, ის მოიმაყო.

ასე გადაიხადეს ასოთ-ამწყობი მუშა-მსახიობის
ბესო მისულარის იუბილე, რომლის საზეიმო სხდო-

მას არ ამუშვენებდა; არც მწვანე სუფრისანი მაგი-
დები, არც ფარჩები და არც „დივა-კრესლოები“.

მუშა დ. მელი.
დღე დღეზედ მოველოდით, მაგრამ არავინ მოვიდა
ჩვენთან პარტიული საკითხების გასარკვევად. ბო-

ლოს, სამი წლის ლოდინის შემდეგ, ისევ ჩვენ მო-
ვიწვიეთ ამ მიზნით და მთავ. კომიტეტმაც გამო-

გზავნა ამხ. ს. ამალაბელი.
სხენებულ კრებაზედ ამხ. ამალაბელმა მოკ-

ლედ განმარტა მომხდარი განხეთქილების და მე-
მარცხენე სოც-ფედერალისტთა პარტიის დაარსე-

ბის მიზეზები. შეკითხვა განმარტებათა შემწეობით
საკითხი სავესებით გამოირკვა და კრებამ აირჩია

სამეული, რომ ესლავე, სულ მოკლე დროში, ჩასწე-
როს მსურველები თანახმად მთავარ კომიტეტის

ინსტრუქციისა და მოიწვიოს საორგანიზაციო კრე-
ბა კომიტეტის ასარჩევად.

კრება ძრიულ კმაყოფილო დარჩა მოხსენებით
და ერთმა გლეხმა სთხოვა მთავარ კომიტეტის

წარმომადგენელს მოკლე დროში ეწვიოს სოფ.
გიორგი-წმინდის ასეთივემხსენებით და ორგანიზა-

ციის დასაარსებლად.
უწყინარი.
ჩხატარაშვილის მტკიცებით, ვითომ სოხუმის
განყოფილებას, გამგეობის დადგენილების თანახ-

მად, დავალბული აქვს მიწერ-მოწერის წარმოება
რუსულ ენაზე.

მე ვაცხადებ, რომ ეს არ არის მართალი.
გამგეობას ასეთი დადგენილება არ გამოუტანია და

ვერც გამოიტანდა, შეინაიდან ეს იქნებოდა აშკარა
უკანონობა.

გამგეობას აქვს გამოტანილი დადგენილება,
რომლითაც სოხუმის განყოფილებას, როგორც სხვა

ტიკულ პროგრამა წამოაყენეს. პრინციპიალურად ეს
პროგრამა მაშინდელ გარკვეულ კონკრეტულ პე-

რიოდისათვის მისაღები და სწორია.
ახლა ვიკითხოთ, როგორ ეროვნულ პროგრა-

მას აყენებენ მარქს-ენგელსი გარდამავალ პერიო-
დისათვის, როდესაც პროლეტარიატი ჩაივლებს პო-

ლიტიკურ ძალა-უფლებას ხელში და განამტკიცებს
თავის დიქტატურას?

ამ წერილების მეოთხე თავში მე შევეცადე
დამემტკიცებინა, რომ მარქს-ენგელსის შეხედულე-

ბით ეროვნული თავისუფლების სრული განადგე-
შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ პროლე-

ტარიატის სრული გამარჯვებით. ელზასელების შე-
სახებ 1882 წ. ენგელსი სწერდა: „განთავისუფლე-

ბეც ის (პროლეტარიატი) და თქვენც (ელზასელებ-
ბი) იქნებით თავისუფალნი“, იმავე წერილში

სლავთა შესახებ ამბობდა: „პროლეტარიატის გამა-
რჯევა ანთავისუფლებს მათ (სლავებს): ჰექსარი-

ტად და აუცილებლად, და არა დროების და ფი-
ქტიურად, როგორც ცარნიში“. ამ გვარად პროლე-

ტარიატის განმარჯვება, პროლეტარული დიქტატუ-
რა დაწესება არის ერთად-ერთი საშუალება და

წყარო ყველა დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისა.
და მრავალი წლების მრავალ გვარ მონობაში მყო-

ფი ეროვნული ერთეულები შესძლებენ აღდგინონ
თავიანთი შელახული უფლებები და გახდენ „თა-

ვიანთი სახლის სრული ბატონ-პატრონი“.
მაგრამ როგორი ფორმებში შესძლებს მშრო-

მელი ერი გამოხატოს თავისი ეროვნული ნების-
ყოფა და იარსებოს, როგორც ერთეულმა? უკეთ

როგორი უნდა იქნეს ეროვნული პოლიტიკა გამა-
რჯეველთა პროლეტარიატისა?

ამ საკითხის ნათელსაყოფად მე მოვიყვანე პი-
რველიც არს მტკიცად მნიშვნელოვან ისტორიულ

ფაქტს როგორც ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნესულ
ცნობებით მტკიცდება, პირველი ინტერნაციონალი

დიდ ყურადღებას აქცევდა პოლონეთის საკითხს,
რომლის მსურველად ამცველად გაჟოდიოდენ მარქ-

სი და მისი მიმდევრები, ხოლო პრუდონი და მისი
მიმდევრები სერიოდ უარყოფდენ ნაციონალურ

საკითხს და წინააღმდეგენ იყვნენ აოლონეთის აღ-
დგენის პროგრამის წამოყენებისა. თვით მარქსი,

გამოდიოდა რა გარკვეული პოლიტიკურ მოსაზრე-
ბებიდან, ერთა თვით გამარჯვების უფლების ძა-

ლით. ითხოვდა პოლონეთის დამოუკიდებლობა
(1866 წ.) ენევის კონგრესზე (1866 წ.) მარქსმა

წარადგინა ვიკელი დასაბუთებელი მოხსენება პო-
ლონეთის საკითხის შესახებ და მოითხოვა წინა კო-

ნგრესის დადგენილების დამტკიცება. მარქსისტების
ლიდერად კონგრესზე გამოვიდა მარქსის მეგობარი,

ძველი მარქსისტი ბეკერი, რომელმაც წამოაყენა
კიდევ დამატებით ნაწილი. ამ ნაწილში მარქსის-

ტები გამოხატევენ რწმენას იმაში, „რომ ინტერ-
ნაციონალურ მუშათა ასოციაციის გამარჯვებას და

გავრცელებს საშუალებით თავის თავად იქნება
მიღწეული მოსპობა რუსეთის დესპოტიური გაე-

ამიერ-კავკასიის რკინიგზების სამმართველო ა ც ნ ო ზ ე ზ ს

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, კოაპერატიულ ორგანიზაციებს, კერძო პირებს და ცალ-ცალკე ბაღების მფლობელებს,

რომელნიც დაინტერესებული არიან ხიხისა და ბოსტნეულის გახმობაში, რომ მიმდინარე სეზონში ამიერ-კავკასიის ფარგლებში განზრახულია მოწყოს

ხილისა და ბოსტნეულის გახმობა

მატარებლის, ექსპლოატაცია რომელსაც ყოველგვარი საქარბხო მოწყობილობა ექნება ნედლი მასალის მექანიკურად გადამუშავებისათვის (ალუბალი, ჭერამი, უნაბი, ატამი, ვაშლი, კარტოფილი, სტაფილო და სხვა ხილი და ბოსტნეული) გამზარ პროდუქტებში.

1) ნედლი მასალა შეიძლება ჩაბარებულ იქნეს გადამუშავების ღირებულების გადახდით, მაგრამ არა უმეტეს ერთი მანეთის ფულთა განმზარ პროდუქტებზე; იმ ხილისა და ბოსტნეულისათვის, რომელთა გასაყვალის პროცენტი დიდი, გადამუშავების ფასი შეიძლება თანაბრად შემცირებულ იქნეს.

2) გადამუშავების ფასი შეიძლება გადახდილ იქნეს თანაბარი ღირებულების ნედლი მასალით ან ნაწილობრივ ფულით და ნედლი მასალით.

3) შემკვეთებს მთელი რიგი შეღავათებისა ეძლევათ ტარანსპორტირებისა, შენახვისა, რეალიზაციისა და ფრახტის გადახდაში, აგრეთვე ეძლევათ სესხი გადამუშავებულ პროდუქტის გირაოს ქვეშ.

4) ტარის შექმნის სიაყვასათვის, რომელიც დამზადებულ პროდუქტის ჩასაწვრად არის საჭირო, ხილისა და ბოსტნეულის გამზომი მატარებელი ყუთების დასამზადებლად ღებულობს შეკვეთებს კლიენტებისათვის ხელსაყრელ პირობებში. მატარებელი იღებს შეკვეთებს აგრეთვე მორისა და ფიცრების დასახერხავად, ხმელ ხელსაწყობების რემონტისათვის და ხორბლეულ პროდუქტების დასაფეკვლად; ყველა ეს სამუშაოები შესრულებული იქნება მატარებლის დამზარ მოწყობილობის საშუალებით; ყველა იმათ, ვისაც სურს მატარებლით სარგებლობა, წინადადება ეძლევათ თავის დროზე შეიტანონ განცხადება, რადგან შეკვეთების შესრულება ხდება რიგის წესით და იმ რაიონების შეთანხმებით, სადაც მატარებელი უნდა იმუშაოს.

ცხოვებისათვის უნდა მიმართო ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიურ სამსახურს (სადგურის ქ. № 1, მე-2 სართული, ოთახი № 57).

5-4

№ 378.

განყოფილებებს ევალება მიწერ-მოწერის წარმოება სახელმწიფო ენაზე, ესე იგი ქართულად, იმ გამოწერისათვის, რომ არა ქართულ ელემენტებთან ნებადართულია მიწერ-მოწერა რუსულად.

ჩხატარაშვილი კი, მიწერ მოწერას აწარმოებს რუსულად თვით საქართველოს სახანაის განყოფილებებთანაც, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს მიწერ-მოწერა შეეხება ქართულ კლიენტებს და ამას იმით ასაბუთებს, რომ იგი „დაწესებულების ხელმძღვანელია და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას“ „ეროვნულსა და პოლიტიკურ საქითებზე შემწეობა დაუშვებლად მიაჩნია“. ესე იგი კანონს არ ემორჩილება და ეს მიაჩნია მოვალეობის კეთილსინდისიანად შესრულებად; „თავისი ერის ბედნიერებით ბედნიერს და უბედურებით მტრად“ ენის საქითი დაუშვებლად და მეტწილად მიაჩნია, იმისდა მიუხედავად, რომ ქართული ენა, საბჭოთა საქართველოს ძირითადი კანონით და მისგან გამომდინარე მთავრობის მრავალი ცირკულირებით, ცნობილია სახელმწიფო ენად, რომელზედაც გვევალება საქმის წარმოება ყველა დაწესებულებების ხელმძღვანელთ.

ჩხატარაშვილი თავიკობს, რომ მას ბურჟუა უწოდეს და ამბობს: „ჩემი ბურჟუაზია არავის უთქვამსო“, მართალია ჩხატარაშვილი კაპიტალისტი არ არის, მაგრამ ისიც მართალია, რომ ის არის ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის მიმდევარი. თუ ამასაც ითავილებს მოქ. ჩხატარაშვილი, მაშინ მე შემიძლია დაუმტკიცო მას, რომ იგი ჯერ ნენშევიკი იყო და შემდეგ ნაციონალ-დემოკრატი, დღეს კი როგორც მოღვაწე უპარტიოს უწოდებს თავის თავს.

ასეთი ვაჭაბუკების უმრავლესობა ჩემად სინდისდენ: „საქართველო გაყიდეს, დამოუკიდებლობა, ენა წაართვისო“ და როდესაც ჯერ კიდევ იმისა ენის საქითსაც მეტწილად ნათლავენ.

ჩხატარაშვილი მიწოდებს „ცნობილი“ პიროვნებას. მე „ცნობილი“ ვარ თუ არა, ამას ამ შემთხვევაში უნდა შევხედოთ არ აქვს, არც ჩემს პიროვნებას აქვს. უბრალო მომავლადი ვარ, მაგრამ იმით ველეფარ ზოგიერთებს, რომ სოხიალიზმ-ფე-

დერალიზმის საღ გეზის ლალატს არავის შეგარჩენ, პირუთენელად ვამხელ, ამით ვარ ცნობილი 1905 წლიდან და ამით ვამაყობ კიდევ.

სახანაის ფოთის განყოფილების მმართველი მ. ესაკია.

ხელნაწი

მომღერალი ქალი თარხანიშვილი იტალიაში დიდ საოპერო თეატრში მოღვაწეობს. იტალიის გაზეთები დიდი ქებით იხსენიებენ ქართველ მომღერალ ქალს.

მიხეილ ნანობაშვილი. პარიზის „petit opera“-ს თეატრში პრემიერ საოპერო მსახიობათ ითვლება ჩვენი თანამემამულე ტენორი მიხეილ ნანობაშვილი (დარიალ).

მთავრობის მოქალაქეანი და პარკულაქანი. არაძანაბა № 10.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისარია საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარია საბჭოს ამა 1923 წლ. ივნისის 13-ს დადგენილებით საქართველოს სახალხო კომისარია საბჭოს საქმეთა მმართველად დანიშნულია ა. მ. ალ. სალარიძე, მისი სახ. კომისარია საბჭოს პასუხისმგებელ მდივნის თანამდებობაზე დეტრეებით, 1923 წლ. ივნისის 1-დან.

სახალხო კომისარია საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სახ. კომისარია საბჭოს მდივანის მაგიერ გ. პარკაძე.

1923 წ. ივნისის 22.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ლაპარკე

სამხედრო აღრიცხვის ბარათი 1894 წელში დაბადების, ტფილისის მეორე უბნის აღმრიცხველის მიერ მოცემული 1922 წელს. საქართველოს სახანატრო აკადემიის მსმენელის მოწმობა მოცემული 1923 წელში. პირველი პროფესიონალი შრომის სკოლის სამსახურის მოწმობა და პირადობის ბარათი მოცემული ტფილისის ქალაქის მილიციის მიერ 1922 წელში, რომელნიც დღიდან დაკარგვისა ითვლება გაუქმებულათ.

ირაკლი იაკობის ძე ტოფაძე.

1-1

№ 430

ლენინსა ევროპაზე და აღდგენა სოციალური და დემოკრატიული პოლიტიკის. (კურსივი ჩემია).

ამ დეკლარაციის აზრი ნათელია: ინტერნაციონალური მუშათა ასოციაციის ვაგრცელება არის შედეგი პროლეტარიატის გამარჯვებისა ბურჟუაზიაზე, რაც თავის თავად იწვევს ყოველგვარ დეპორტაციის მოსაზრებას და ერთა დამოუკიდებლობის აღდგენას.

1915 წ. ამბ რიანანოვა გამოაქვეყნა ენგელსის 1866 წ. დაწერილი წერილი: „Что делать рабочим классам с Польшей?“ ამ წელიწადში ენგელსი სწერს: „რუსეთი არის მეპატრონე მრავალ რაოდენობის მოპარულ საკუთრებისა“ (ე. ი. დანარგულ ნაკლებსა), რომელთა უკან დაბრუნება მას მოუხდება ანგარიშის გასწორების დროს“ (იხ. ლენინის წიგნი—გვ. 200) პროლეტარიატის გამარჯვება მთელს მსოფლიოში დასაშობს რუსეთის ცარიზმს, გაუსწორებს მას ანგარიშებს და ეს პროცესი თავისთავად დამოუკიდებს რუსეთში დაბრუნულ ერების „უკან დაბრუნებას“, თავის თავის დაბრუნებას, დამოუკიდებლობას.

ეს დოკუმენტები ვარკვევით ამტკიცებენ იმას თუ როგორ პოლიტიკას უნდა დაადგეს გამარჯვებული პროლეტარიატი, მარქს-ენგელსი პროგნოზით საერთოდ ეროვნულ საქითში და საერთოდ როგორ ფორმებში უნდა უზრუნველყონ ერების ინტერესები.

მაგრამ მოიპოვება ენგელსის ამაზე უფრო საყურადღებო დოკუმენტი, რომელშიაც იგი იძლევა პასუხს მრავალ სერიოზულ და პრინციპალურ საკითხების შესახებ. 1882 წ. ე. ენგელსმა მისწერა კ. კაუტსის აღნიშნულ საკითხის შესახებ საინტერესო წერილი: ჩვენ მოგვყავს მხოლოდ უმთავრესი ნაწილები ამ წერილიდან, ენგელსი სწერს კარლ კაუტსის.

...ჩემის აზრით, ნამდვილი (eigentlich) კოლონიები, ე. ი. მიწა-წყალი, ევროპელ მოსახლეობით დაკავებული, კანადა, კაპი, ავსტრალია, ყველა შეიქმნება დამოუკიდებლად; მხოლოდ დამორჩილებული მიწა-წყალი კი, ადგილობრივ მცხოვრებთ მიერ დასახლებული, ინდოეთი, ალჟირი, პოლანდიის, პორტუგალიის, ისპანიის სამფლობელოები პროლეტარიატს დასჭირდება დროებით გადმოიღოს (перенять) და რაც შეიძლება საჭიროდ მიიჯვანოს დამოუკიდებლობამდე, სახელდობრ თუ როგორ გაიშლება ეს პროცესი, ამის თქმა შეუძლებელია. ინდოეთმა, შეიძლება, რევოლუციუა მოახდინოს, ეს თითქმის შესაძლებელია და, რადგან განმათავისუფლებელ პროლეტარიატს კოლონიურ ომების წარმოება არ შეუძლია, ამას ის უნდა შეუთავსდეს, ამასთანავე ცხადია, საქმე რაიმე ნაკლებსა გადრეშ არ დასრულდება. მაგრამ ამგვარი მოვლენები განუყოფელია ყველა რევოლუციისაგან. ამგვარივე შემთხვევები შეიძლება ადგილი ექნეს სხვა მხარეებში, მაგ. ამერიკასა ან ეგვიპტეში, და ჩვენთვის ეს აუცილებლად ყველაზე უკეთესი იქნებოდა. ჩვენ

სამუშაო საკუთარ სახლშიც საქმიად გვექნება რაკი მხოლოდ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში მოხდება როგორგანაცა, ეს ისეთს კოლოსალურ ძალასა ან ისეთს მავალთს მოგვცემს, რომ ნახევრათ—განათლებული ქვეყნები თავის თავათ გამოგვეყვებიან ჩვენ; ამაზე კი მხოლოდ ერთი ეკონომიური მოთხოვნაა: იზრუნებენ თუ როგორი სოციალური და პოლიტიკური ფაზები უნდა გაიაროს ამ ქვეყნებმა, სანამ ისინი სოციალისტურ ორგანიზაციამდე მიადგებიან. ამის შესახებ, მე ვფიქრობ, ჩვენ შეგვეძლოს რამდენიმე მხოლოდ უნაყოფო პიპოტეზების წამოყენება. ერთი კი უმჯობესია: გამარჯვებულ პროლეტარიატს არ შეუძლია არც ერთ უცხო ხალხს მოახვიოს რაიმე ვაჭარბეობა, რომ ძირი არ გამოუთხაროს ამით თავის საკუთარი გამარჯვებას („победоносный пролетариат не может никому чужому народу навязывать своего опостановления, не подрывая этим своей собственной победы“). რასაკვირველია, ამით არ ისპობა არავითარ შემთხვევაში სხვა და სხვა სახის თავდაცვითი ომები“ (იხ. ლენინის მე XIX-ე წიგნი, გვ. 209, კურსივი ჩემია).

ეს წერილი მეტად ძვირფასი დოკუმენტი არის მრავალ საყურადღებო საკითხების გამოსარკვევად. უწინარეს ყოვლისა ის ჩვენ გვიხსნის, რომ გამარჯვებულმა პროლეტარიატმა უნდა გაანთავისუფლოს მონობისაგან ყველა ერები, სულ ერთია ეს ევროპის განათლებული ერები იქნება, თუ ჩამორჩენილ ქვეყნების კოლონიალური ხალხები, და მოუპოვოს მათ დამოუკიდებლობა. ის ხალხები კი, რომელთაც ეს არ შეუძლია დღეს დღეობთ, თან და თან მიყვანილ უნდა იქნენ დამოუკიდებლობამდე. 2). ურთიერთობას დაამყარებს და განამტკიცებს სოციალისტურ ქვეყნებსა და ნახევრად—განათლებულ ქვეყნებს შორის უმთავრესად ეკონომიური ინტერესები და სარგებლიანობა. სოციალისტური კულტურის ძვირფასი ნაყოფი და მისი უპირატესობანი თავისთავად უდიდეს გავლენას მოახდენს ამ ხალხებზე და ჩააბამს მათ სოციალისტურს წარმოებაში. ასეთს შემთხვევაში გადამჭერელ როლს თამაშობს არა ძალ დატანება და „ძალით გაბუდნიერება“, არამედ ინტერესთა შეთანხმება და ურთიერთ დახმარების პრინციპი.

შესაშე მთავარი საკითხი შეეხება იმას, თუ როგორი პოლიტიკური და სოციალური ფაზები უნდა განვილო ჩამორჩენილმა ქვეყნებმა, რომ შეიძინონ სოციალისტურ ორგანიზაციამდე. ეს არის ერთი მეტად სერიოზული და უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობის სადღესის საერთაშორისო ამოცანა: თანამედროვე უცილოდ დაწყებულ სოციალისტურ რევოლუციის პროცესში ჩამბმული არიან ევროპის, ამერიკისა და სხვათა განათლებულ ერებთან ერთად ნახევრად კაპიტალისტური და ნახევრად—ფეოდალური ქვეყნები. რა უნდა ქჰან ამ ერებმა, უნდა განვილონ კაპიტალისტური ფაზა საყვებით. თუ პროლეტარიატი მას

გამოუძენის ახალ ფორმებს განვითარებისათვის? ენგელსი ამ ფორმების შესახებ არაფერს გვეუბნება, მაგრამ საკითხის „პიპოტეზებით დაყენება“ თავისთავად მოწმობს, რომ მას ევროპასა და ამერიკაში დაწყებულ პროლეტარულ რევოლუციის დროს აღარ მიაჩნია საჭიროდ ნახევრად ჩამორჩენილ ქვეყნების კაპიტალიზაცია გაგრძელებს და ამგვარად კაპიტალიზმის განვითარება მთელს მსოფლიოში თავის ლოლიკურ შესაძლებლობამდე იქმნეს მიყვანილი.*)

ენგელსმა მხოლოდ გვანიშნა ახალ ფაზების შესაძლებლობაზე, მაგრამ მისი კონკრეტული ფორმა არ მოგვცა. ვიმეორებ, ეს არის თანამედროვე პროლეტარულ მოძრაობის კოლონიალურ პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, და ის, რაც ვერ სთქვა ენგელსმა ვარკვევით, მის შესახებ დამთავრებული სისტემა მოგვცა ამ. ნ. ლენინმა და მთელმა მესამე ინტერნაციონალმა. 1920 წ. კომინტერნის მეორე კონგრესზე ეს საკითხი დაისვა მთელი თავისი სიმძიმით კოლონიალურ და ნაციონალურ საკითხების განხილვის დროს და ამის შესახებ გამოტანილი იქნა შესაფერისი დადგენილება. მე აქ მოვიყვან ამ. ლენინის სიტყვის ნაწილს, რომელიც გადმოგვცემს კომისიამ წარმოებულ დებატების შინაარს ინდოეთის კომუნისტის ამ. როსისა და თვით ლენინის მიერ წაყენებულ თეზისების შესახებ. ამ. ნ. ლენინი კონგრესის სხდომაზე ამბობს.

„საკითხის დაყენება იყო შემდეგნაირი: შეგვიძლია ჩვენ ვიცნოთ სწორად მტკიცება, რომ სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური საფეხურით აუცილებელია იმ ჩამორჩენილ ერებისათვის, რომელნიც დღეს თავისუფლებიან და რომელთა რიგში ახლა, ომის შემდეგ, სჩანს მოძრაობა პროგრესის გზით. ჩვენ უბასუხეთ ამ კითხვზე უარყოფითად. თუ რევოლუციონური გამარჯვებული პროლეტარიატი გასწევს მათ შორის სისტემატიურ პროპაგანდას, საბჭოთა მთავრობები კი მივლენ მათთან დახმარებლად მათ განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებებით, მაშინ არ არის სწორი მოსაზრება, რომ კაპიტალისტური საფეხური განვითარების აუცილებელია ჩამორჩენილ ერებისათვის. ყველა კოლონიებსა და ჩამორჩენილ ქვეყნებში ჩვენ უნდა შევქმნათ არა მარტო კადრი დამოუკიდებელ მებრძოლთა, პარტიული ორგანიზაციები, არა მარტო უნდა გავსწიოთ პროპაგანდა გლეხთა საბჭოების ორგანიზაციისათვის და ვეცადოთ შეუფარდოთ ისინი არა-კაპიტალისტურ (до капиталистическим) პირობებს: არამედ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა უნდა დააწყოს და თეორიულად დაასაბუთოს ის დებულება, რომ ყველაზე უფრო მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის დახმარებით ჩამორჩენილ ქვეყნებს შეუძლიათ გადავიდნ საბჭოთა სისტემაზე და განვითარების განსაზღვრულ საფეხურების გავ-

* ამ საკითხს ენგელსიც და მარქსიც აგრეთვე რუსეთის შესახებ წერილებში ეხებოდნენ ს. დ.

ლით—კომუნისტში, (და ამით) გვერდი აუარონ კაპიტალისტური განვითარების სტადიას“ (იხ. ნ. ლენინის მე-XIX ტომი გვ. 246 კურსივი ჩემია).

ამ. ლენინმა და მთელმა მესამე ინტერნაციონალმა დაჩაგრულ, ჩამორჩენილ და ევროპის კაპიტალისტების ექსპლოატაციის ობიექტად გადაქცეულ ერების აჯანყების ლოზუნგი გადისწოლა და მასთანვე ამ ხალხებს ვარკვევით ვა დაუსაბა სოციალისტურ ორგანიზაციამდე მისაღწევად. ამ პოლიტიკაში გადამჭერელს როლს თამაშობს დასავლეთ პროლეტარიატის აქტიური მოქმედება და ახალი სოციალური ორგანიზაციის გავლენა. თვით ენგელსი 1893 წ. ნიკოლოზონისადმი წერილში ემბობდა: „... არც რუსეთსა და არც რომელიმე სხვა ქვეყანას შეუძლებელია განვითაროს პირველყოფილ სათემო კომუნისტურიდან რომელიმე უფრო უმაღლესი სოციალური ფორმა, თუ ეს უფრო უმაღლესი ფორმა არ არსებობს უკვე სინამდვილე რომელიმე სხვა მხარეში და არ წარმოადგენს გვარად რევოლუციონურს წამბევისათვის“ (Искусство гв. 312).

მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენს საკითხს. ჩვენ გვედავთ, რომ ვარდამავალ პერიოდისათვის ენგელსი ერების განთავისუფლების გეგმებს ადგენს და ვარკვევს ფორმას იძლევა იმისათვის, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს განთავისუფლება. პროლეტარული რევოლუციუა, ერთის მხრით, არღვევს კაპიტალიზმის მიერ გამოქცეულ მონობის ჯაჭვებს, ამსხვრევს იმპერიალიზმის ბატონობას და ანიჭებს ერებს დამოუკიდებლობას, მეორეს მხრით, ის თვით კაპიტალისა და მისი პოლიტიკური ზედნაშენების მოსპობით სპობს „ნაციის ორგანიზმზე“ აღმოცენებულ პარაზიტს—სახელმწიფოს, რომელიც „საზოდლობის ამ საზოგადოების წყენითა და ხელს უშლის მის თავისუფლად განვითარებას“, ამით ყოველი „ნაცია აღწევს მთლიანობას“. (მარქსის სიტყვებით). ძველი სახელმწიფო აპარატის დასხვრევითა და მშრომელთა უმეტესობის ძალა-უფლების განმტკიცებით „ნაციის მთლიანობა რეალურ სინამდვილედ ხდება“—„მთელი კაპიტალი, მთელი წარმოება და მთელი აღმ-მცემობა თავმოყრილი იქნება ერის ხელში“ (ენგელსის სიტყვებით) და ამ საშუალებითა და გზით ერი გადადის კომუნისტურ ასოციაციაში. მასთანვე ერთად შორის მყარდება სრული სოლიდარობა და თანასწორობა: ... „მოისპობა ექსპლოატაცია ერთი ნაციისა მეორე ნაციის მიერ. კლასთა წინააღმდეგობის დამხობასთან ერთად ერი დაემხოება ერთა მტრული განწყობილება ერთმანეთისადმი“. ეს არის „კომ. მანიფესტის“ ძვირფასი სიტყვები, რომელიც მე რამოდენიმეჯერ მოვიყვანე.

უკანასკნელ წერილში მე შევეხები პირველ ინტერნაციონალის ეროვნულ პოლიტიკას და მარქს-ენგელსის როლს ამ საკითხში.

სან—დონი.

(მ. მდგვი იქნება).